№ 14 მთავრობის საბჭოს

საქართველოს რესპუბლიკა

ყოველდღიური გაზეთი წელიწადი მეორე

ფასი 2 მან. ოთხშაბათი, 21 იანვარი 1920 წ.

მთავრობის მოამბე, ყოველდღიური გაზეთი
(ოფიციალური და არა ოფიციალური განყოფილებით)
საქართველოს რესპუბლიკა

მიიღება ხელის მოწერა გაზ. „საქ. რეს." 1920 წლისთვის. გაზეთი ღირს 1 თვით 40 მანეთი, ცალკე ნომერი ყველგან 2 მანეთი. განცხადების ფასი პირველ გვერდზე ჰექტრის სტრიქონი 3 მ. 50 კ. მე 4 გვერდზე 3 მ. სამგლოვიარო განცხადება ჩვეულებრ. ზომისა 80 მ. 1 იანვრ. გაზ. ნისიად არავის გაეგზავნება. რედაქციის კანტორის მისამართი: ტფილისი, ბარონის ქუჩა № 6. ტელეფონის 1—82.

სახელმწიფო თეატრი

ოპერა ს. ი. ევლახიშვილის ხელმძღვანელობით.

ოთხშაბათს, იანვრის 21-ს

ბოგემა

მონაწილეობენ: ვოლ. ლევიცკაია, ზალიპაკი, ინაშვილი, ისკანდერი, საბინინი, ეზროვი, დემიანენკო. ხუთშაბათს, იანვრის 22 ს „აბესალომი და ეთერი". პარასკევს, იანვრის 23 ს გლაზის ბენეფისი „მინიონი". შაბათს, იანვრის 24 ს ოპერა მუშებისთვის. „ფრა დიავოლო". კვირას, იანვრის 25-ს დილით ვიშემირსკაიას ბენეფისი „გენზელი და გრეშელი". საღამოს „აიდა". 90

გამოვიდა და იყიდება მთავარ საწყობში: ტფილისი, დიდი-მთავრის ქუჩა, № 70, პოლიტექნიკური სასწავლებელი, საქართველოს ტექნიკური საზოგადოების სატერმინო სექციის ბიერ შედგენილი

რუსულ-ქართული ტექნიკური ლექსიკონი

რომელიც შეიცავს უმთავრეს ტერმინებს მათემატიკიდან, ფიზიკიდან, მექანიკიდან, ქიმიიდან, მინერალოგიიდან, გეოლოგიიდან, არტიფერიიდან და ტექნიკის სხვა და სხვა დარგებიდან, საშვალებ დაბეჭდილ ტერმინოლოგიის დანატებით. ფასი 100 მან. აქვე იყიდება: ინ. ვ. მ. ქაკაბაძე: მრეწველობის განვითარების საკითხი ჩვენში. ფასი 15 მან. ინ. ბ. ბ. ჭინაძე. პირველ-დაზეგნითი პრაქტიკული ჰიდრავლიკა (სახელმძღვანელო და საცნობო წიგნაკი) ფასი 25 მან. Инж. И, А. Кипшидзе. Краткія свѣдѣнія о горныхъ богатствахъ Грузіи. Цѣна 10 руб. 90 1—1

ტფ. საშხედრო ბინათა დისტანცია

აცხადებს, რომ თებერვლის 7-ს ამა 1920 წ. დანიშნულია პიროვნული შეჯიბრება იჯარის მისაცემად ტფ. გარნიზონის ბინებიდან უფუთაოების და ნაგვის გაზიდვის შესახებ. მსურველს შეუძლია შეიტანოს თხოვნა პირობების აღნიშვნით არა უგვიანეს 1 თებერვლისა. დაწვრილებითი ცნობების მიღება შეიძლება კანცელარიაში (ინჟენერის ქუჩა № 2) დილის 10—3 საათამდე. 5—3 63

ოფიციალური განყოფილება.

დეკრეტი

ვარციხის მამულისათვის ყურძნის შესაძენად გაწეული ხარჯის დასაფარავად 3,000,000 მან. გადადებისა.

1. გაღებულ იქნეს სახელმწიფო ხაზინიდან მიწათ-მოქმედების მინისტრის განკარგულებაში სამი მილიონი (3,000,000) მანეთი ვარციხის მამულისათვის ყურძნის შესაძენად გაწეული ხარჯის დასაფარავად.

2) დეკრეტი ესე ძალაში შედის დღიდან მიღებისა დამფუძნებელი კრების მიერ.

1919 წლის დეკემბრის 31-ს.

საქართველოს დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის უფროსი ამხანაგი

ალ. ლომთათიძე.

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მოადგილე

ევგ. გეგეჭკორი.

დეკრეტი

ერობათა ხმოსნების რწმუნებულობის ვადის განგრძობისა.

1. ერობათა ხმოსნების რწმუნებულობის ვადა, დადებული ერობათა დროებითი დებულების ძალით (თავი 2 § § 11 და 51) 1920 წლის იანვრის 1-მდე, განგრძობილ იქნეს 1920 წლის ნოემბრის 1-მდე.

შენიშვნა. ზუგდიდის სამაზრო ერობის ხმოსნების არჩევნები დაინიშნოს 1920 წლის იანვრის განმავლობაში.

2. დეკრეტი ესე ძალაში შედის დღიდან მიღებისა დამფუძნებელი კრების მიერ.

1919 წ. დეკემბრის 29 ს.

საქართველოს დამფუძნებელი კრების თავმჯდომრის უფროსი ამხანაგი

ალ. ლომთათიძე.

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მოადგილე

ევგ. გეგეჭკორი.

დეკრეტი

მთავრობის განკარგულებაში ორას ორმოცდა-ათი მილ. მან. გადადებისა სავალიუტო საქონლის შესაძენად და სასურსათო საქმის საწარმოებლად

1. გადადებულ იქნეს სახელმწიფო ხაზინიდან მთავრობის განკარგულებაში ორას ორმოცდა-ათი მილიონი (250,000,000) მანეთი სავალიუტო საქონლის შესაძენად და სასურსათო საქმის საწარმოებლად.

2. დეკრეტი ესე ძალაში შედის დღიდან მიღებისა დამფუძნებელი კრების მიერ.

1919 წ. დეკემბრის 31-ს.

საქართველოს დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის უფროსი ამხანაგი

ალ. ლომთათიძე.

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მოადგილე

ევგ. გეგეჭკორი.

დეკრეტი.

სამხედრო საბეითლო საფერშლო სკოლისა, სამოსწავლო სამჭედურისა და გარნიზონის საბეითლო სამკურნალოს დაარსებისა და ამ დაწესებულების შესანახად 232,145 მანეთის გადადებისა.

1. დაარსებულ იქნეს ქ. ტფილისში დროებით ამა 1920 წლის, იანვრის 1 დან ორი წლისა და რვა თვის ვადით სამხედრო საბეითლო საფერშლო სკოლა, სამოსწავლო სამჭედური და გარნიზონის საბეითლო სამკურნალო ამასთან დართული შტატითა და ხარჯთაღრიცხვით.

2. გაღებულ იქნეს სახელმწიფო ხაზინიდან სამხედრო მინისტრის განკარგულებაში ორას ოცდათორმეტი ათას ას ორმოცდა ხუთი (232.145) მან. პირველ მუხლში დასახელებულ დაწესებულების შესანახად მიმდინარე საბიუჯეტო წლის განმავლობაში.

3. ჯარისკაცი, რომელიც დაამთავრებს საფერშლო სკოლას და სამოსწავლო სამჭედურს, ვალდებულია სკოლის დამთავრების შემდეგ წელიწადნახევარს იმსახურიოს ჯარში, როგორც სამხედრო ბეგარა-ვალდებული.

4. დეკრეტი ესე ძალაში შედის დღიდან მიღებისა დამფუძნებელი კრების მიერ.

1919 წ. დეკემბრის 31-ს.

საქართველოს დამფუძნებელი კრების თავმჯდ. უფრ. ამხანაგი ალ. ლომთათიძე.

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მოადგილე

ევგ. გეგეჭკორი.

ხარჯთ-აღრიცხვა

სამხედრო, საბეითლო, საფერშლო სკოლისა, სამოსწავლო ხაჭედურისა და საგარნიზონო საბეითლო სამკურნალოსი.

№№ რიგზე	თანამდებობისა და ხარჯის სახელწოდება	რიცხვი	თვეში ყველას	ხუთ თვეში ყველას
1	ჯამაგირი ექიმს, ოფიცერს, მოხელეს და ნებით დაქირავებულს	10	22800	114000
2	სურსათით დაკმაყოფილება ექიმისა და ოფიცრისა	4	2329	11645
3	ცხენების შეძენა	3	—	36000
4	ცხენების გამოკვება და დაჭედვა	3	3600	18000
5	კანცელარიის ხარჯი		500	2500
6	სასწავლო ნივთების და სახელმძღვანელოების შეძენა და წიგნთსაცავის მოწყობა		—	50000
	ჯამი	—	—	232145

1919 წ. დეკემბრის 31-ს.

საქართველოს დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის უფროსი ამხანაგი ალ. ლომთათიძე.

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მოადგილე

ევგ. გეგეჭკორი.

შტატი

სამხედრო საბეითლო, საფერშლო სკოლისა, სამოსწავლო სამჭედურისა და გარნიზონის საბეითლო სამკურნალოსი.

თანამდებობისა და ხარჯის სახელწოდება	ძალაში-ა ოფიც.	ოფიცერი ჯამაგირი ოფ.	ცხენების რიცხვი	საზიდავთა რიცხვი	შენიშვნა
ა) ექიმი, ოფიცერი და მოხელე სამივე დაწესებულების გამგე:					[1]) ნებით დაქირავებულია.
ბეითალი-ექიმი	1	3750	—	—	[2]) მივლინებული სამხედრო ნაწილიდან.
უმცროსი ბეითალი-ექიმი	2	3300	—	—	[3]) შეგირდების რიცხვი შეიძლება გადიდდეს სამხედრო მინისტრის განკარგულებით.
ოფიცერი, უფროსი ლეიტანანტი იგივე საქმის მწარმოებელი და ხაზინადარი[1])	1	2250	—	—	
გადამწერი[1])	2	1600	—	—	
ბეითალი-ფერშალი[1])	2	1800	—	—	
ნასწავლი მჭედელი[1])	2	1700	—	—	
სულ	10	22800	—	—	
ბ) ჯარისკაცი[2])					
ზემდეგი, იგივე მეკუჭნავე	1	—	—	—	
მზარეული	1	—	—	—	
მსახური და მეჯინიბე[3])	4	—	—	—	
შეგირდები ორსავე სკოლაში[3])	60	—	—	—	
სულ	66	—	—	—	
გ) ცხენი და საზიდავი:					
საბარგე ცხენი	—	—	3	—	
ორცხენა საზიდავი	—	—	—	1	
ორთვალა	—	—	—	1	
სულ ჯამი	76	—	3	2	

დაწესებულებას ეკუთვნის: 1) კანცელარიის ხარჯისათვის თვიურად ხუთასი (500) მან.
2) სამოსწავლო ნივთებისა და სახელმძღვანელოების შესაძენად და წიგნთსაცავის მოსაწყობათ ორმოცდაათი ათასი (50000) მან.

1919 წ. დეკემბრის 31-ს.

საქართველოს დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის უფროსი ამხანაგი

ალ. ლომთათიძე.

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მოადგილე ევგ. გეგეჭკორი.

ნუსხა

სახაზინო რკინისგზის უფროსი აგენტების თანამდებობათა და მათთვის აწინდელი სამგზავრო ფულის მომატებისა.

თანამდებობანი	პირთა რიცხვი	სამგზავრო ფული თვეში			
		აწინდელი		მომატება	
		ერთს	ყველას	ერთს	ყველას
გზების უფროსი	1	250	250	750	750
მისი თანაშემწე	1	150	150	450	450
ლიანდაგის სამსახ. უფროსი	1	150	150	450	450
ექსპლოატაციის უფროსი	1	150	150	450	450
სამექან. სამსახურ. უფროსი	1	150	150	450	450
სამასალო განყოფილ. უფროსი	1	100	100	300	300
შემოსავლის სამსახურის უფროსი	1	100	100	300	300
ნავთსადგინის უფროსი	1	100	100	300	300
ლიანდაგ. სამსახ. უფრ. თანაშემწე	1	85	85	255	255
სამექან. სამსახ. უფრ. პირველი თანაშემწე	1	85	85	255	255
იურისკონსულტი	1	80	80	240	240
ექსპლოატაციის უფროსის თანაშემწე	1	78	78	234	234
აგენტი მინდობილობათა ინტენერი	1	75	75	225	225
სამექანიკო ნაწილის უფროსის მესამე თანაშემწე	1	75	75	225	225
უბნის უფროსები I კლ.	7	75	525	225	1575
ნავთსადგინის უფროსის თანაშემწე	1	70	70	210	210
უფროსი ექიმი	1	68	68	204	204
უბნის უფროსი მეორე კლ.	4	62	248	186	744
სამექანიკო სამსახ. უფროსის მეორე თანაშემწე	1	60	60	180	180
შემოსავლის სამსახ. უფროსი თანაშემწე	4	60	240	180	720
ტელეგრაფის ნაწილის უფროსი	1	60	60	180	180
უბნის უფროსი მესამე კლ.	4	60	240	180	720
მამულის ჩამორთმევის აგენტი	1	50	50	150	150
უბნის უფროსის თანაშემწე მესამე კლ.	0	44	440	132	1320
საკომერციო ნაწილის უფროსი	1	42	42	126	126
უბნის უფროსის თანაშემწე მეორე კლ.	5	37	185	111	555
სასანიტარო ექიმი	1	33	33	99	99
სადგურთა ანგარიშის რევიზ.	5	25	125	75	375
რევ. ინსტრუქტ. საკომერც. ნაწ.	2	25	50	75	150
სამასალო განყ. რევიზორი	3	25	75	75	225
მასალის მომარაგების აგენტები	2	25	50	75	150
მოძრაობის რევიზორები	7	25	175	75	525
ტელეგრაფის უბნის უფროსი	5	25	125	75	375
სასწორთა რევიზორები	1	25	25	75	75
უბნის ექიმები	11	16	176	48	528
ტელეგრაფის მექანიკები	22	16	352	48	1056
მოძრაობის უფროსი რევიზორი სამმართველოსთან	1	60	60	180	180
სულ თვეურად	—	—	—	—	14766

ათი თვისათვის 1 აგვისტოდან 1919 წ. 1 ივნისამდე 1920 წ. . . . . 147660 მან.

1919 წ. დეკემბრის 16-ს.

საქართველოს დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის უფროსი ამხანაგი
ალ. ლომთათიძე.

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე **ნ. ჟორდანია.**

არა ოფიციალური განყოფილება

შინაგან საქმეთა სამინისტროში.

ციხის უფროსის დატუსაღება.

ახალციხიდან რესპუბლიკის ციხეთა ინსპექტორი ივ. იაშვილი, შინაგან საქმეთა სამინისტროს დეპეშით აუწყებს, რომ ახალციხის საპყრობილის უფროსი ჩიქოვანი სამსახურში ბოროტების ჩადენის გამო დატუსაღებულია და გადმოგზავნილია ტფილისში მეტეხის ციხეში მოსათავსებლათ.

მილოცვის დეპეშები.

საქართველოს დამოუკიდებლობის ცნობის გამო შინაგან საქმეთა სამინისტროს მოევიდა მოლოცვის დეპეშები; არდაგანიდან—ადგილობრივ ადმინისტრაციისა და მოქალაქეთაგან, ოზურგეთიდან—მაზრის მილიციისაგან, ქუთაისიდან—მეო. ქათამაძისგან და საბერძნეთის მისიისაგან.

მიწათ-მოქმ. სამინისტროში.

აგრონომიული ყრილობა.

აგრონომიულ მოღვაწეთა ყრილობა გაიხსნება სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების შენობაში.

დელეგატთა საერთო ბინის საკითხი ჯერ გადაწყვეტილი არ არის. განზრახულია იგი მოეწყოს ზუბალაშვილის თავშესაფარში სასამართლოს ქუჩაზე.

სათესლე ხორბლის დამმზადებელი ბიურო,

იანვრის პირველ რიცხვებში მიწათ-მოქმედების სამინისიტროსთან შესდგა სათესლე ხორბლის დამმზადებელი ბიურო, რომელშიაც შედიან: მიწათ მოქმედების სამინისტროსგან იულ. ლომოური (თავმჯდომარე), მომარაგების სამინისტროდან—ნ. ავალიშვილი, ერობათა კავშირიდან—ის. სტურუა და კოოპერატიულ კავშირიდან წერეთელი. ბიუროს უკვე ჰქონია 2 სხდომა. ბიუროს ერობებიდან მრავალი თხოვნა მოსდის სათესლე ხორბლის შეძენის შესახებ. დღეს დილის 10 საათზე დანიშნულია ხანებულ ბიუროს სხდომა, რომელზედაც შეუშავებულ უნდა იქნას წესი სათესლე ხორბლის შესაძენათ.

პასარა შენიშვნები.

საღი პოლიტიკა

ჩვენი საგარეო პოლიტიკა ბრწყინვალე გამარჯვებით დამთავრდა. გაიმარჯვა სამართლიანობამ, რომლითაც მუდამ ხელმძღვანელობდა ქართველი ერი. სრულიად სწორი და მიზანშეწონილი გამოდგა ის გზა, თუ პოლიტიკა, რომელსაც დღიდან საქართველოს დამოუკიდებლობისა აწარმოებდა საქართველოს დემოკრატია და მისი მთავრობა. მართალია, ზოგს არ მოსწონდა ეს პოლიტიკა, ხშირად აშკარადაც კი ბედავდენ მისი უვარგისობის შესახებ ლაპარაკს; წუნს სდებდენ აგრეთვე ჩვენი დელეგაციის მუშაობას ევროპაში საქართველოს დამოუკიდებლობისათვის: უკვე ნებდენ მას, როგორ გაბედა ოფიციალურმა დელეგაციამ მოლაპარაკების გამართვა არა ოფიციალურ ორგანიზაციებთან—ინტერნაციონალთან, სოციალისტურ კონგრესებზე და სხვა. მაგრამ, როგორც ბ. ა. ჩხენკელის მოხსენებიდან ნათლათ გამოირკვა და რაშიაც ჩვენ წინადაც ვიყავით დარწმუნებული პირველად ინტერნაციონალმა და სხვა სოციალისტურმა ორგანიზაციებმა იცვნეს ჩვენი დამოუკიდებლობა, მათ დიდად შეუწყვეს ხელი საქართველოს დამოუკიდებლობის აღიარებას ევროპაში. მაგრამ დღეს ამაზე სიტყვის გაგრძელება ზედმეტად მიგვაჩნია; დღეს ყოველივე იქვე, იმედი მტრებისა, თუ უიმედობა მოყვარეთა გაიფანტა; სწორმა გზამ საქართველო სრულ გამარჯვებამდე მიიყვანა. დღეს საქართველოს რესპუბლიკა ყოველ ეხრივ უფლება მოცულია. მისი სახელმწიფებრივი ძლიერება განმტკიცდა: გახდა სწორუფლებიანი წევრი საერთაშორისო ოჯახისა. ეს გემრიელი ნაყოფი შედეგია მხოლოდ და ხოლოდ საღი პოლიტიკისა.

ჩრდილოეთის საფრთხე.

შეიძლება საქართველოს კიდევ მოადგეს საფრთხე, რომელიც დღეს მოალოდნელია ჩრდილოეთიდან. დღევანდელ რუსეთთან ჩვენ დიპლომატიური არ გვაკავშირებს, არც ეკონომიურად, არც გეოგრაფიულად და მით უმეტეს პოლიტიკურად ჩვენ მას არ უხლოვდებით, მაგრამ გამარჯვებულ ბალშევიკებს მაინც ჩვენსკენ უჭირავთ თვალი; დღეს თუ ისინი მოითხოვენ ჩვენთან კავშირს ვითომდა დენიკინთან საბრძოლველად, შეიძლება ხვალ ამ კავშირის საჭიროებამ მათთვის განვლოს და გამარჯვებულნი მოადგნენ ჩვენ საზღვრებს. ცხადია, ისინი საზღვრებთან გაჩერებას არ მოიცდიან, რადგანაც მათთვის ჩვენი სახელმწ ფოს ტერიტორიის საზღვრები არ არსებობენ და მოინდომებენ ბალშევიკური არშინ-სასწორით ჩვენ სახელმწიფოში შემოვრა; ეს მით უმეტეს მოსალოდნელია დღეს ჩვენთვის, როდესაც თანდათან ვრწმუნდებით, რომ რუსეთის არამც თუ რეაქციონური ნაწილი ოფიცერ - ჩინოვნიკობა, რუსეთის საზოგადოებრივი აზროვნებაც ვერ ურიგდება დღემდე საქართველოს დამოუკიდებლობას; დღიდან საქართველოს დამოკიდებულობის გამოცხადებისა რუსეთის დიდი ნაწილი შურის ძიებით იყო ჩვენდამი გამსჭვალული და ასეთი მდგომარეობა გრძელდება დღემდე. მაგრამ მაინც საკვირველია, რომ რუსეთის აწინდელი ბატონ პატრონი ვერდარწმუნდნენ დღემდე, რომ საქართველოში არ აღმოჩნდა ნიადაგი ნოყიერი ბალშევიზმის განსავითარებლად. საქართველოს დემოკრატიამ დაჭმა ბალშევიზმი, იარაღით შეებრძოლა მას, დაამარცხა, დათრგუნა, მაგრამ ბალშევიკების პოლიტიკური სიბეჯითე მაში მდგომარეობს, რომ მათ არ შესწევთ უნარი სწორი ალღოს აღებისა, მდგომარეობის ობიექტიურად შეფასებისა. მაგრამ მაუხედავათ იმისა, როგორი სახეც არ უნდა მიიღოს დღეს ჩრდილოეთის საფრთხემ, ჩვენში ის უიმედობას და გამარჯვებაში ეჭვს მაინც ვერ იწვევს. ამის საუკეთესო თავდებია ის თავგანწირული ბრძოლა, რომელსაც საქართველო ამ უკანასკნელ წლების განმავლობაში განსაკუთრებული გმირობით აწარმოებს. სანამ საქართველოს მამაცი მებრძოლნი წინ უძღვით, ჩვენ მისი მოშავალი ყოველთვის ბრწყინვალედ გვეხატება.

ერობა

ტფილისის სამაზრო ერობაში.

რვეულები.

ტფ. სამაზრო ერობის გამგეობამ მოაწყო რვეულების დასამზადებელი სახელოსნო, რომელშიაც დამზადებული რვეულები გაუნაწილა მაზრის სკოლებს მეტად შეღავათიან ფასებში. ამ ჟ მათ გამგეობა ამზადებს ერობათა კავშირის კომიტეტის მიერ დაკვეთილ 2 მილიონ ცალ რვეულს.

მანუფაქტურა.

ტფილისის სამაზრო ერობამ შუამდგომლობა აღძრა კოოპერატივთა კავშირის წინაშე, რომლითაც ითხოვს სამანუფაქტურო საქონლის დათმობას. მანუფაქტურა უკვე შემოსულა იხგლისიდან ფოსტი ფირმა „კოსმოსის“ სახელზე. ერობის ძიერ დაკვეთილ მანუფაქტურის ღირებულების ჯამი 10 მილიონამდეა.

ჟურნ. „მეურნე“

25 იანვარს გაიხსნება ყრილობა საერობო და აგრონომიულ მოღვაწეებისა; ამ დღისათვის გახზრახულია გამოიცეს ჟურნალ „მეურნეს“ პირველი ნომერი.

ყრილობისათვის.

ერობათა და აგრონომიულ მოღვაწეთა ყრილობის მომწყობ საორგანიზაციო კომიტეტმა გამოჰყო მათ შორის 6 სექცია, რომლებიც იძუშავებენ სხვა და სხვა საჭირო მასალებს ყრილობისათვის.

ზუგდიდის ერობიდან.

ერობათა მთავარ კომიტეტს ზუგდიდიდან შემდეგი დეპეშა მოუვიდა:

„მაზრაში უკვე ბიძძილობამ იჩინა თავი, დავადგინეთ ხალხა საჭესლეთ საადგილო კარტოფილი ძივაწოდოთ, აიტოძ საჭიროა, დამ. კრების ძიერ გადადებულ 5 მილიონიან ფონდიდან დაგვეთძოს სამკვარი მილიონი. ვეხვაეთ ჩვენა ოწუნებულს, დაგვეხმარეთ.“

გურიის ერობაში.

სკოლების რევიზია.

სასკოლო განყოფილების უფროსმა, ინსტრუქტორმა გოგუაძემ დათვალიერა მაზრის სკოლები, საიდანაც გამოიოკა, რომ სკოლების საქმე მაზრაში სასურველ ნიადაგზეა დაყენებული.

საბეითლო დახმარება.

ოზურგეთის სამაზრო ერობის გამგეობამ დაადგინა გაიყოს მაზრა სამ საბეითლო უბანთ: 1) ოზურგეთის, 2) ლანჩხუთის და 3) ჩიხატაურის. ამ რაიონებში გაიხსნა ამბულატორიები და არის მუდმივათ ექიმი. (ამ ექიმთ მაზრაში სამი ექიმია და 5 თანაშემწე.) ახლო მომავალში გაიხსნება საბეითლო პუნქტები: სუფსაში, აკეთში, სურეთში და სხვა ადგილებში. საჭირო მასალის უქონლობა ბოლა უმლის ამბულატორიების სათანადოთ ოოწყობიას.

საცდელი მინდვრები.

თანახმად უკანასკნელ ყრილობის გადაწყვეტილებისა გუნიის ერობის გამგეობა შეუდგა მის განკარგულებაში არსებულ ყველა ჭალობიან ადგილების ამოშრობას. ერობის ეკონომიური გაიყოფილება აგროვებს ამისათვის საჭირო ცნობებს.

საგრონომიო დახმარებისათვის ერობამ წინადადება მისცა თემებს, გამოჰკონ საფონდო მიწებიდან—თუ ასეთი არია—საცდელი მინდვრებისათვის მიწები და წარუდგინონ ეკონომიურ განყოფილებას ამია შესახებ ყოველგვარი ცნობები და აღძრან შუამდგომლობა მიწათ-მოქმედების სამინისტროს წინაშე ასეთ მიწების ერობებისათვის გადაცემის შესახებ.

ქუთაისის სამაზრო ერობის დადგენილებანი:

გამგეობა სასურველად სცნობს მთელ რეს პუბლიკისათვის ერთ საოფთიაქო საწყობის დაარსებას ქალ. ტფილისში და გამოსთქვამს სურვილს, რომ მთავრობამ ქალაქთა და ერობათა კავშირთან ერთად მოაგვაროონ ეს საქმე.

ვინაიდან გამგეობას არა აქვს საშუალება მოაწყოს ფოსტის ზიდვა, ეცნობოს, რომ მიმართონ ქალაქთა კავშირს.

სანამ გამოირკვეოდეს წვრილი ერთეულების საბიუჯეტო უფლებები, ღვინის მყიდველებზე ვადასახადის შემოღება უარყოფილ იქნას.

მიღებულ იქნას ზომები საოფთიაქო და სამედიცინო პერსონალისთვის მიმოსვლის საშუალებათა გასაუმჯობესებ ლად.

დაევალოს საექიმო განყოფილებას შეიმუშაოს თემებში აფთიაქების და სამედიცინო პუნქტების გახსნის შესახებ საერთო გეგმა.

შეძენილ იქნეს გზების შეკეთების საჭირო ბისათვის 50 ფუთი დინამიტი თავის კუფულებით თანახმად უფროსი ინჟენრის დასკვნისა.

აღიძრას შუამდგომლობა შინაგან საქმეთა სამინისტროს წინაშე, რათა ერობის სამსახურში მყოფ ფარმაცევტებს ჩაეთვალოს „პრაქტიკა“ ვინაიდან ისინი იმ პირობებში და ისეგე მუშაობენ, როგორც ნორმალურ აფთიაქების ფარმაცევტები.

გავრცელდეს სკოლების ინსტრუქტორებზე 100% ნი მომატება ძირითად ჯამაგირებზე, თანახმად მთავრობის ამა წლის 28 ნოემბრის დეკრეტისა.

მიეცეს ერთდროული დახმარების სახით ათი ათასი მანეთი.

„ძველ მოლაროების“ მიდამოებში მდებარე შიწები გასცეს იჯარით მაღაროების ადმინისტრაციამ; მაღაროებიდან მოშორებით მდებარე საძოვარი ადგილები კი გადავიდეს ფონდში და გაიყიდოს.

ეთხოვოს მომხმარებელ საზოგადოებას „კოოპერაციას“ დაუთმოს ერობას ქ. ქუთაისში მყოფ თანამშრომელთათვის გამომცხვარი პური მათ მიერ შემოღებულ ფასით და არსებულ წესების დაცვით.

ვინაიდან ნაქერალის გზატკეცილი გადმოვიდა ერობის ხელში, რის შეკეთება უკვე დაწყებულია,—დაეავალოს გამგეობის წევრს ვ. ფალავანდიშვილს, იურისკონსულტს და უფროს ინჟენერს ჩხეიძეს აღადგინოს ერობის უფლებები ამ ცხრაას დესეტინა სათივე ადგილზე.

მიეცეს ბაღდათის სათემო ერობას ას საშოცი საჟენი კანატი საცალფეხო ხიდის გასაკეთებლად.

გამოიყოს საყულიის თემიდან სოფ. ბაში და დაარსდეს ბაშ ეწერბაშის თემი. მიეცეს წინადადება ფარცანაყანევის თემზე მიწერილ ეწერ ბაშს თუ სურთ მიეწერონ ბაშ ეწერბაშის თემს.

დაარსდეს ცალ-ცალკე ქვედა და ზედა სიმონეთის თემები, არსებულ ადმინისტრატიულ საზღვრების ფარგლებში.

აღიძრას შუამდგომლობა შინაგან საქმეთა მინისტრის წინაშე რათა სამაზრო ერობას და მის აგენტებს მიეცეს, ნება ტელეფონით უფასოთ სარგებლობისა.

თუ ეს შეუძლებელი იქნება მოგვეცეს საშუალება მთელი წლის გადასახადის ერთბაშად გადახდისა.

დეპეშები.

(საქართვ. დეპეშათა სააგენტო)

მოსკოვი. ვლადიკავკაზიიდან მიმართულებით ჩვენი ჯარი გადავიდა მდ. დონზე და მარიინსკის რაიონში იბრძვის. ცარიცინ-ტიხორეცკაიას რკინის გზაზე ჩვენმა ჯარმა უკუ აქცია მტერი და გადავიდა მდ. სალზე. კრასნოიარის რაიონში ჩვენ ავიღეთ ქ. კანსკი.

მოსკოვი. იანვ. 17. სრულიად რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ამით აცხადებს, რომ კომიტეტის კრება დანიშნულია 1 თებერვალისათვის ქ. მოსკოვში. დღის წესრიგში სდგას შემდეგი საკითხები: მოხსენება აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის მუშაობის შესახებ; საერთაშორისო მდგომარეობა, ეკონომიური პოლიტიკა, საკითხი მშრომელი არმიის შესახებ და სხვა.

მოსკოვი, იანვრის 18. ც. ა. კ. ბ. ბ. ბიულეტენი. სიკვდილის დასჯის გაუქმება. ვინაიდან საბჭოთა მთავრობამ საესებით გაიმარჯვა რუსეთის რევოლიუციის მტრებზე, სრ. რუს. აღმ. კომიტეტი, ხალხთა კომისართა საბჭო ადგენს მოისპოს სიკვდილით დასჯა, როგორც საგანგებო კომისიათა, აგრეთვე თვით უზენაესი ტრიბუნალის დადგენილებითაც. დადგენილებას ხელს აწერენ სრულიად რუსეთის ცენტრალურ აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე კამენევი, ხალხთა კომისართა საბჭოს თავმჯდომარე ულიანოვ ლენინი, საგანგებო კომისიათა თავმჯდომარე მერჟინსკი და ცენტრალურ აღ. კომიტეტის მდივანი ენუქიძე.

ტარნავიკი, იანვ. 17. სტეფანის სააგენტო ლონდონიდან რომს ატყობინებს: მოკავშირეთა უმაღლესმა საბჭომ დაადგინა: განახლდეს ალებ მიცემობა მოკავშირეთა და საბჭოთა რუსეთის და ცენტრალურ სახელმწიფოთა შორის. განზრახულია შეიტანონ რუსეთში ტანსაცმელი, მედიკამენტები, სამეურნეო იარაღები და სხვა საჭირო საქონელი, ნაცვლად რომლისა გამოტანილ იქნება პური და დასამუშავებელი საქონელი, რაიც რუსეთს ზედმეტად აღმოაჩნდება.

მოსკოვი, სამხედრო ცნობები, იანვ. 18. ნარვის უბანში ჩვენსკენ გადმოვიდა მტრის ასი ჯარისკაცი. რეჟიცის რაიონში ბრძოლა გრძელდება. ლეპელის მიმართულებით პოლონელთა მზვერავები გამოჩნდენ. მოზირის რაიონში ბრძოლა გრძელდება. ოვრუჩის რაიონში სროლა და მზვერავთა მოქმედებაა. ხერსონის მიმართულებით ჩვენმა ჯარმა სასტიკი ბრძოლის შემდეგ აიღო სადგური აპოსტოლოპო. პერეკოპის მიმართულებით ჩვენმა ჯარმა აიღო სოფელი აღაიანი. დონის რაიონში კონსტანტინოვსკაიას საზრეთით ჩვენი ჯარი მიიწევს დიდი და პატარა მეჩეტნაიას და ვესელოვსკაიასაკენ.

ფრანგული პრესა.

კენისბერგიდან იუწყებიან: მემელის ტერიტორიის კომისარმა გრაფ ლამსდორფმა გამოსცა განკარგულება, რომლის ძალითაც მემელის ტერიტორიაზე სუვერენული უფლება მოკავშირეთა ხელში გადადის. ყველა სამოქალაქო და სამხედრო თანამდებობის პირნი და მოხელენი თავის მოვალეობას შეასრულებენ ძველი კანონების მიხედვით. მემელის ტერიტორია გერმანიიდან გამუყოფილია საბაჟოთი. რუსეთთან საბაჟო საზღვარი ძველებურად რჩება.

ვარშავაში ჩამოვიდა სამხრეთ სლავიის დიპლომატიური წარმომადგენელი ტადიჩი. რომელიც წინეთ პეტროგრადში მყოფ სერბიის დელეგაციას აცნობებს იმის შესახებ, რომ იტალია უარს აცხადებს ქ. ფიუმეზე-სუვერენიტეტობასა და სერბიკოს დემილიტარიზაციაზე. ამგვარათ ფიუმე ხდება დამოუკიდებელ ქალაქად. მისი ნავთსადგური გადაეცემა ერთა ლიგას. ქალაქი სისაკი გადაეცემა სამხრეთ სლავიას, რომლის წარმომადგენლებმაც ახლი ინსტრუქციებისათვის ბელგრადს მიმართეს. პასუხს მიიღებენ შაბათს ან კვირას.

პრეზიდენტის არჩევის გამო სენატისა და პალატის პოლიტიკურმა ჯგუფებმა სენატის სასახლეში თავი შეიყარეს. ამ კრების მიზანი იყო მოლაპარაკება პრეზიდენტის კანდიდატის არჩევის შესახებ. წამოყენებულ იქნა კლემანსოსა და დემანელის კანდიდატურა. კენჭის ყრის შედეგი: დეშანელმა მიიღო 408 ხმა, კლემანსომ 389, როგორც კენჭის ყრის შედეგის გამოქვეყნდა ყველა მინისტრი და მათი ამხანაგები გაემგზავრენ გარეშე საქმეთა სამინისტროში, რათა კლემანსოსთან ერთად ეთათბირად შექმნილ მდგომარეობაზე. რამდენიმე ხნის შემდეგ კლემანსომ მიმართა კონგრესის თავმჯდომარე ლეონ ბურჟუას წერილით, რომ მან რესპუბლიკის პრეზიდენტათ თავისი კანდიდატურის წამოყენების თანხმობა უკან მიაქვს.

მოავალ მნიშვნელოვანი საზღვაო და სამხედრო საკითხებია გასარჩევი პარიზში. ამის გამო ინგლისიდან ამ დღეებში პარიზში ჩამოვა საზღვაო მინისტრი ჩერჩილი და მასთან ერთად სამხედრო საქმის მცოდნე პირები.

მაიორი დანიშნა პარიზში გერმანიის საქმეთა ვექილათ. სენატორი და ქ. გამბეტა მოურავი დოქტორ სტამერი იქნება ლონდონში გერმანიის წარმომადგენლად.

მოკავშირეთა გემები კოპენჰაგენიდან ფლენს. ბურგის ნავთსადგურში მივიდა. ხალხი მათ ალფრთოვანებით შეხვდა.

კლემანსო თავს ანებებს პოლიტიკურ ცხოვრებას და ჟურნალისტობას. იგი მომავალ კვირას დასასვენებლად წავა ვანდეიას, სადაც შეუდგება მემუარების წერას ომის შესახებ. „გაზეთებში აღარ ვითანაშრომლებ, მე წიგნის წერას ვიწყებო“, განუცხადა კლემანსომ თავის ახლო მეგობრებს.

ერთა ლიგასთან შეერთებაზე თანახმაა სპარსეთის მთავრობაც.

შაბათს, 17 იანვარს, დეპუტატთა პალატა და სენატი პრეზიდენტის ამოსარჩევად ვერსალში შეიკრიბა. დილიდანვე ვერსალის ქუჩებს დიდი სიცხოველე ეტყობოდა. კენჭის ყრაში მონაწილეობას ღებულობდა 889 კაცი. რესპუბლიკის პრეზიდენტათ 734 ხმით ამოირჩიეს დეპუტატთა პალატის თავმჯდომარე დეშანელი.

დანციგიდან იუწყებიან პოლონეთის სამხედრო დელეგაციის მისვლის შესახებ. დელეგაციას მიზნათ აქვს მოლაპარაკება დაიწყოს გერმანიის მთავრობასთან დასავლეთ პრუსიის გაწმენდის შესახებ.

ბუენოს-აირესის გაზეთები იუწყებიან ფრანგულ საავიაციო კომისიის მიერ ბუენოს-აირესსა და მენდოზას შორის საჰაერო კომერციულ ხაზის მოწყობის შესახებ. ეს ხაზი სიგრძით უდრის 1100 კილომეტრს. გზაში იქნება სამი სადგური. გაზეთები ყურადღებას აქცევენ იმ გარემოებას, რომ ეს ყველაზე უფრო გრძელი ხაზია მთელ დედამიწის ზურგზე.

მუნიციპალური ცხოვრება.

ოზურგეთის ქალაქის საბჭოში.

29 დეკემბრის სხდომაზე საბჭომ დაადგინა: დაეავალოს გამგეობას შეკრიბოს საჭირო ცნობები, მოელაპარაკოს ერობის გამგეობას თუ ვინაობაა არსებული სამხედრო საავათმყოფო გადავა ერობის ხელში, იმ შემთხვევაში ერობასთან ერთად ქალაქსაც მიეცეს სათანადო უფლება მიღებულ იქნას საჭირო ზომები ბარაკის გახსნის შესახებ და გადაიდოს გამგეობის განკარგულებაში გადამდებ სენთან საბრძოლველათ ამ თავიდანვე ათი ათასი მანეთი (10,000 მან.)

შემდეგ გამგეობის წევრი ს. ცხომელიძე მოხსენებას აკეთებს დრამატიული საზოგადოების გამგეობის მომართვაზე ქალაქიდან დახმარების აღმოჩენის შესახებ და ამბობს, რომ გამგეობა ფიქრობს დაეხმაროს დრამატიულ საზოგადოებას 3,000 მანეთის მიცემით.

ნიკ. დოლიძე აღნიშნავს გამგეობის უმოქმედობას და წინადადებას იძლევა დროებით სანამ დრამატიული საზოგადოების გამგეობის რეორგანიზაცია მოხდებოდეს დახმარების შესახებ საკითხი მოხსნილ იქნას.

დოლიძის წინადადება საბჭომ მიიღო.

დაბოლოს საბჭომ დაადგინა: ვინაიდან ახალმა მოიჯარადრეებმა არ შეასრულეს პირობები, დაეავალოს გამგეობას თანახმად კანდიციისა ბუდეებზე დანიშნოს ხელახალი ვაჭრობა.

ისტორიული წერილები.

გენ. სუხოტინმა როგორ გაუწყვიტა სოლომონ მეფეს 30 ათასი მხედარი.

მეფე ერეკლეს და იმერთ მეფე სოლომონის მოტყუება პირველათ გენერალ ტოტლებენმა განიზრახა. მისი მიზანი იყო, რომ მეფე ერეკლე აემხედრებია ოსმალეთის წინააღმდეგ, რათა ამ საშუალებით მეფე ერეკლეს მხედრობა ამოწყვეტილიყო.

გენ. ლევოვმა კი სცადა იმერეთის მეფე სოლომონი მაინც მოეტყუებია, მაგრამ ვერც იქ გააწყო ამან რამე და ბოლოს რუსეთის გზას გაუდგა. განვლო მცირე დრომ და ახლა კიდევ სხვა ეშმაკი გაჩნდა საქართველოში. ეს გენერალი გახლდათ სუხოტინი; ტოტლებენსა და ლევოზედ არა ნაკლები გველი და მოხერხებული მტერი საქართველოს სამეფოსი.

საქართველოში სუხოტინი მობრძანდა დიდის ჯარით და თავის ბრძანებლობითის რიხით, ტოტლებენსა და ლევოზედ, ამას უფრო მეტი დარიგება მისცა დიმიტრი ციციშვილმა: იმას ასწავლა ბევრი რამ გველური საიდუმლოების, რითაც ერეკლე და სოლომონ მეფე უნდა მოეტყუებინა და ამითი ამათი მხედრობაც უნდა მოესპო.

სუხოტინი უფრო დიდის იმედით გიახლათ საქართველოში და ტფილისშიაც მშვიდობით შემოვიდა თავის ჯარით; მეფე ერეკლეს ბრძანებით ამას ქალაქ გარეთ სამეფო მოხელენი პერმარილით დაეგებნენ. ესეთი პატივი გენერალსაც დიდათ მოეწონა. ერთ დღეს ეს გენერალიც წარუდგა მეფე ერეკლეს.

გენერალმა მეფეს გადასცა ეკატერინესაგან გამოგზავნილი ძღვენი, სალამი, მოკითხვა და ბევრიც სხვა რამ დაპირებანი. ეს გენერალი მეფე ერეკლეს კარზედ კარგა ხანს დაშთა; ამან იმეცადინა ბევრი და რაკი ერეკლე მეფეს აღარ აუღო, რომ მისი მოტყუება, აყოლება და ოსმალებზე ამხედრება ძნელი იყო, ამიტომ ამან ამ ბოროტების ჩადენას თავი დაანება და ამ დღიდან იგი მიეცა მარტო იმის ცდას, რომ მეფე ერეკლესთვის ტოტლებენის და ლევოვის ღალატი დაეგვიწყებინა, ეს იყო მისთვის საჭირო. ამისთვის იმეცადინა ამ ბოროტმა და მართლაც მოახერხა ეს, რომ ქრისტიან და მეამიტ მეფე ერეკლეს გულს გადაჰყარა და თითქმის სულ გაუქარწყლა ტოტლებენის და ლევოვის ღალატიც.

სუხოტინმა წადილი შეისრულა და მეფე ერეკლეს წინაშე გამართლებულ იქმნა როგორც ტოტლებენი, ისევე ლევოვი და როცა ესენი გამართლდენ მაშინ გამართლდა მათი ჩამგონებელი და წამქეზებელი ეკატერინე მეორეც. სუხოტინმა საწადელს მიაღწია და ამან თავის ეშმაკობას და გველობას, რომელიც მას ჩაუნერგა დიმიტრი ციციშვილმა, ამ ეშმაკურს ბოროტებას მან თავის გამოცდილებით ერთი ბოროტებაც შემატა, რომელიც მან კარგათ შეიგნო ეს.

ეს ბოროტება ეი რა გახლდათ: ერეკლე მეფე აუკილებლივ უნდა ავტეხოთ სპარსეთის წინააღმდეგ და იმერეთის მეფე ოსმალეთსაო. ეს გეგმა ამან შეიმუშავა საფუძვლიანათ და მის შემდეგ მან მეფე ერეკლეს წინაშე მეცადინეობას თავი გაანება, აბრაგანი ამოიკრა თავის ჯარით და იმერეთის გზას გაუდგა სოლომონ მეფის კარზედ, რომ ახლა იქ მაინც გაეწყო რამე და შეესრულებინა თავის ბოროტი ჩამგონებლების დავალებანი.

სუხოტინმა ისიც კი შეიგნო კარგად, რომ თუ მეფე ერეკლე იყო გმირი კაცი და ერთგული რაინდი თავის ერისა და ჯარისა, სამაგიეროთ სოლომონ მეფე იყო ბრძენი, შორს მხედველი და ჭკვიანი კაცი და სოლომონის დამორჩილება რომ მომხდარიყო, მაშინ ადვილი საქმე იქნებოდა, რომ მეფე ერეკლეც თავის ნებით შეუერთდებოდა რუსეთის იმპერიას, ამიტომაც ეს გენერალი ასეთის იმედებით შეპყრობილი მალე გაუდგა იმერეთის გზას. ეს დრო იყო 1777 წ. მალე ჩავიდა იმერეთში და სოლომონ მეფის წინაშე დატრიალდა თავის გველურ ოსტატობით. საქმე მოაწყო და სოლომონ მეფე დაიყოლია ყველა თავის დავალებაზე.

სუხოტინის გულის გასახეთქათ, მას ცუდი ამბავი ეუწყა რუსეთიდან. რუსეთში გარდაცვალა 1777 წ. საქართველოს მოღალატე და დაუძინებელი მტერი ქართველი ერისა და რუსეთის მთავრობისგან შესყიდული დიმიტრი პავლეს ძე ციციშვილი, ამ ამბავმა გველს იმერეთის დალუპვის საქმეების წინაშე წელი მოსწყვიტა, ბაგრამ მან მაინც გული არ გაიფუჭა და თვით სოლომონ მეფის წინაშე დიმიტრი ციციშვილის ღირსება ცამდე აიყვანა.

ბევრი გველურის ცდის და ეშმაკობის შემდეგ, როგორც იქნა სოლომონ მეფეს დასტყუა ოცდა ათი ათასი იმერთა მხედრობა იმ დაპირებით, რომ თქვენის მხედრობით და რუსის ჯარით ფოთიდან ოსმალებს გავაძევებ და მთელ ფოთს თავის მიდამოებით თქვენ სამეფოს შემოეუერთებო. ამის ნატვრა გახლავთ ეკატერინესაც, რომ იმერეთი ოსმალთაგან გაიწმინდოს და ქართლი სპარსთაგანაო.

სუხოტინმა მოაწყო საქმე ისე, რომ 1779 წ. იმერეთის ხეხედრობით ფოთისკენ გაეიგზავნა, მაგრამ ამაოთ, ამ ბოროტმა იქ თავის საწადელს მიაღწია და ფოთი თავის მიდამოებით იმერეთის სამეფოს კი არ შემოეუერთა, არამედ სოლომონ მეფეს ოცდა ათი ათასი კარგი იმერთ მხედრობა მოუსპო. ამას ნატრობდა ეს ბოროტი გველი და ესეც შეუსრულდა თავის გველობით.

მეფე გიორგის შვილი დავით ბატონიშვილი, რუსეთის გენერალ ლეიტენანტი და საქართველოს ტახტის მემკვიდრე სუხოტინის ამ ბოროტებაზე ეი რას სწერს:

„სუხოტინი ღენერალი შთავიდა ფოთს, სურდა დაპყრობა მისი, მტერია ვერ უძლო და უკუ მობრუნდა იმერეთსა“. ეს არის ძორჩა ამით. რა მოუხდა ამ ბოროტს და რა გველობა იხმარა, იმერეთის ჯარი ისე დააყენა მტრის წინ, რომ იგი მტერთაგან სულ მოისპო, რუსის ჯარი ზარბაზნებით კი ისეთ ალაგას დააყენა, რომლითაც არასფერი ევნო და რაკი იმერთ ჯარი მოისპო, მის შემდეგ სუხოტინი რუსის ჯარით იმერეთში დაბრუნდა.

ეს ამბავი სოლომონ მეფეს დიდათ ეწყინა, მაგრამ რალას იზამდა სუხოტინმა მეფე სოლომონი ასე დაამშვიდა.

თქვენო უმაღლესობავ, ოსმალთ დიდი ჯაჯი აღმოაჩნდათ, მართალია თქვენი მხედრობა მოისპო, მაგრამ არც ოსმალნი დარჩენ, ისინიც მოისპნენ. თორემ თუ ეს ასე არ მომხდარიყონ, მაშინ ისინი თქვენ სამეფოს შემოესეოდენ და უსათუოდ დაიპყრობდენ, მე კი ეს უბედურება თქვენ სამეფოს თავიდან ავაცდინე და ამიტომ თქვენ ღმერთს მადლობა უნდა შესწიროთ, რომ თქვენი ქვეყნის უბედურების მოსავალი ასე გათავდა. სოლომონ მეფე დარწმუნდა ამაზე და სუხოტინს მადლობა უთხრა და ისიც დაავალა, რომ ჩემი მადლობა ეკატერინესაც მოახსენეთო. სუხოტინსაც ეს უნდოდა და ამის შემდეგ ეს ბოროტი გამარჯვებული რუსეთის გზას გაუდგა თავის ჯარით.

სუხოტინმა თავის ჩადენილი გველობა ჯერეთ პატიომკინს ახარა და მის მერე ეკატერინესაც აუწყა. მაგრამ რა გამოვიდა ამით, მათთვის ვითომ არასფერი და მან კიდევ იხმარა დაუძინებელი ბოროტება. ამ გარემოების შესახებ დავით ბატონიშვილი მოწმობს რომ „ფოთში იმერთ მხედრობის მოსპობის ცნობამ პატიომკინი და ეკატერინე დიდათ გაახარეს“. ამ გახარების მიზეზებს აქვს თავისი საბუთი,

რუსეთის გენერლების თვალში, მეფე ერეკლეს ჯარზედ, უფრო მეტათ იმერეთის ჯარი სახელოვნდებდა, ომშიაც ესენი უფრო მოხერხებულნი და სულ გამარჯვებულნი იყვნენ, ვინემც ერეკლეს ჯარი, ამიტომ ამათი დამარცხება უფრო იყო რუსებისათვის საჭირო და გასახარელი. გარდა ასეთის ღირსების, იმე-

759

რეთის ჯარის სარდლებსაც ისე ადვილათ ვერ შეისუ დენ ხოლმე, როგორც ქართლ-კახელებს. იმერლებს იარაღიც უფრო მეტი აქვნდათ, თურმე და ხმარებაც უფრო კარგათ იცოდნენ, ამიტომ უფრო შეესია სუხოტინი იმერეთს.

იმავ დავით ბატონიშვილის ძოწმობით ბოლოს თურმე აი რა გამოირკვა.

სუხოტინის დროს, ოსმალებს იმერეთის შესახებ სულ არასფერი საწინააღმდეგო არა ჰქონდათ რა, მათ ამისთვის არც სამზადისი ჰქონიათ და არც იმერეთის დაჭერა სდომნიათ. მათ სურვილებიათ იმერეთიდან მარტო სუხოტინის გაძევება სხვა ამას მეტი არასფერი. სოლომონ მეფე კი სუხოტინში დიდს შიშში ჩააგდო თურმე, რომ ოსმალები გემტერებიან და იმერეთის წართმევასაც გიპირებენო. რაკი სუხოტინი იმერეთიდან თავის ჯარით რუსეთში წავიდა, ამიტომ ოსმალთაც იმერეთზე გალაშქრება თავი გაანებეს, საქმე ისე მოეწყო, რომ იმერეთის საზღვაროში ოსმალთ ქათამიც არავისთვის აუფრენიათ.

ასე დაბოლოვდა სუხოტინის საქმე და რადგანაც ამ დროს საქართველოს ჯაზუშობას დიმიტრი ციციშვილის შემდგ გარსევან ჭავჭავაძე ასრულებდა, ამის ოსტატურის გეგმით და შეყვადვით, საქართველოს დაპატრონების გეგმა ეკატერინემ და მისმა გენერლებმა შესცვალეს და ამ შეცვლას მოჰყვა ის შედეგი, რომ 1783 წ. რუსთა და ქართველთ ტრაქტატიც დაიწერა, რომელ ტრაქტატსაც 1801 წლ. მოჰყვა სრულიად საქართველოს დასამარება და რუსეთის რომანოვებისგან დამარხვა. ზ. ჭ. *)

დრამატიული საზოგადოების კრება

კვირას, 19 იანვარს, ქართულ კლუბში შესდგა დრამატიულ საზოგადოების წევრთა კრება, რომლის თავმჯდომარედ ერთხმათ არჩეულ იქმნა პ. დ. საყვარელიძე, ხოლო მდივნად არტ. ახნაზაროვი. სარევიზიო კომისიის თავმჯდომარემ ბ-მა მაჭავარიანმა აუწყა კრებას, რომ სარევიზიო კომისია იძულებული იყო მას მოეწვია საზოგადო კრება, რადგანაც გამგეობას სამი წლის განმავლობაში არც ერთჯერ არ მოუწვევია საზოგადო კრება. გამგეობას არ ჰქონდა მზად თავის მოქმედების შესახებ მოხსენება წარედგინა კრებისათვის, ამისათვის კრება გადაიდო შემდეგი კვირისთვის (25 იანვარს) დაევალა გამგეობას და სარევიზიო კომისიას წარმოედგინოს მომავალ კრებას მოხსენება. კრებამ დაადგინა აგრეთვე შესცვალოს საზოგადოების წესდება ღღევანდელი პირობების მიხედვით; ამ მიზნით არჩეულ იქმნა სპეციალური კომისია, რომლის წევრებათ ერთხმათ აირჩია კრებამ ბ. გ. ლასხიშვილი, შ. დადიანი და კ. ანდრონიკაშვილი. კომისიამ მომავალ კრებაზე უნდა წარმოადგინოს გადახალისებული საზოგადოების წესდება დასამტკიცებლად. შემდეგ კრებამ მიიღო ახალი წევრები, რომლის რიცხვი ას აღემატებოდა. მომავალ კრებაზე არჩეულ იქნება საზოგადოების ახალი გამგეობა და განხილული სხვა და სხვა მიმდინარე საკითხები.

პროვინცია

ძნელი ასაწერია ის უსაზღვრო სიხარული, რომელიც გამოიწვია ულმაღეს საბჭოს მიერ საქართველოს დამოუკიდებლობის აღიარებამ და ის ზეიმი, რომელიც გადაიხადა ქალაქი ქუთაისის ქალ. თელავმა.

12 ინვარს, საღამოთი მთელ თელავს მოედო ეს სასიამოვნო ამბავი, დეპეშები მიელოთ ერობებს, ქალაქის გამგეობებს და სხვა დაწესებულებებს. ამ საღამოთვე ბორიგი ხდომა იყო დანიშნული ქალაქის საბჭოს ხმოსნებისა. ხმოსნები მალე შეიკრიბნენ და ჩვეულებრივი ხდომა საღესასწაულოდ გარაიქცა.

საზეიმო ხდომა გახსნა საბჭოს თავმჯდომარის ამხანაგმა გ. ბურჭულაძემ, რომელმაც აუწყა დამსწრეთ ეს სასიხარულო ამბავი, ხოლოდ ქალ. თავმა ლანდიამ წაიკითხა მიღებული დეპეშები და გამგეობის შემუშავებული გეგმა მოახსენა, საბჭო მცირე კამათის შემდეგ ამტკიცებს ზეიმის გეგმას და ერთხმად ადგენს მიესალმოს როგორც დამფუძნებელ კრებას ისე მთავრობის თავმჯდომარეს დეპეშებით შემდეგი შინა რსისა:

*) ზ. ჭ. წერილები ჩვენს გაზეთში ყოველთვის ავტორის მართლწერით იბეჭდება.

რედ.

დამფუძნებელ კრებს:

„თელავის ქალაქის საბჭოს ღღევანდელი საზეიმო ხდომა გამოსთქვამს უაღრეს სიხარულს დიადი აქტის საქართველოს დამოუკიდებლობის ფაქტიურად ცნობისათვის უმაღლეს საბჭოს მიერ. უსურვებს საქართველოს გვირგვინს დამფუძნებელ კრებას ჩვენი ერის ბედის გამორკვევას ნაყოფიერ მუშაობას“.

მთავრობის თავმჯდომარეს ნოე ჟორდანიას:

„თელავის ქალაქის საბჭოს ღღევანდელი საზეიმო ხდომა გამოსთქვამს უაღრეს სიხარულს დიდი აქტის, საქართველოს დამოუკიდებლობის ფაქტიურათ ცნობისათვის უმაღლეს საბჭოს მიერ. გისურვებს თქვენ, საქართველოს მესაჭეს რესპუბლიკის მთავრობის სამარადისო გამარჯვებას ჩვენი ქვეყნის საბედნიეროთ“.

ხმოსნები და დამსწრე საზოგადოება ტაშით ხვდებიან დეპეშების შინაარს. ამავე დროს ყველა ეკლესიების ზარების რეკა გაისმის, რითაც ეუწყებათ მოქალაქეთ ეს სასიხარულო ამბავი. მალე მთელი ქალაქი გარედ ეფინება და ქალაქის გამგეობაში იყრის თავს, უკვე ღამის 9 საათი შესრულდა, ამოვიდა მე 6 ქვეითა ათასეულის მთელი შემადგენელობა საბხედრო მუსიკით, გაიოვიდნენ გვარდიელნიც, მოქალაქენი ეგებებიან სამშობლოს დამცველებს და გაისმის „გაუმარჯოს, ჯარს, გაუმარჯოს გვარდიას, გაუმარჯოს საქართველოს. ამას ზედ ერთვის საბხედრო მუსიკა, ზარების რეკა, ჯარის კაცთა სიმღერა და აუწერელი რამ სურათი ახატვება ელექტრონით გაჩირაღდნებულ ქალაქის თვითმმართველობის შენობის წინ.

თვითმმართველობის აივანზე გამოდის დამფუძნებელი კრების წევრი სოსო მაჭავარიანი, რომელიც ალრფთოვანებული შინაარსიანი სიტყვით მიმართავს მანიფესტანტებს და დამფუძნებელ კრების სახელით ულაცავს ამ დიდ-ნიშვნელოვან ამბავს; საბხედრო მუსიკა სამჯერ ასრულებს ეროვნულ ჰიმნს, რომელიც იფარება „ვაშას“ და „გაუმარჯოს საქართველოს“ ძახილით. ამის შემდეგ მანიფესტაცია მუსიკით და სიმღერით დაივლის თელავის უმთავრეს ქუჩებს და ღამის 11 საათზე თავდება ეს სიხარული.

მეორე ღღეს 13 ინვარს, უფრო საღღესასწაულო ეღფერი ეტყობა თელავს: არა თუ ხალხი ბუნებაც კი ღღესასწაულობს. მიუხედავად ინვრისა ისეთი მნიაზი ღღეა, ისე თბილა თითქოს გაზაფხულია, დუქნები ღილიდანვე იკეტება, სახლები და ბაზარი დროებით ირთობა, ყველა მიეშურება სემინარიის მოედანისკენ, მოდის ჯარი და გვარდიაც და მწკვრივდება იმ ბუმბერაზ ათას წლოვან კვლის გვერდზე, რომლებზედაც მათი მამა-პაპანი სამშობლოს თავისუფლების გულისთვის თავსა სწირავდნენ და ღღეს 117 წლის შემდეგ ეს უტყვი კეღლები მოწმენი გახდნენ, როგორ გამზადებულან აღდგენილ საქართველოს შვილნი, მჭაბძონ თავიანთ წინაპრებს და მსხვერპლად შეეწირონ სამშობლოს თავ სუფლებას. დამფუძნებელ კრების წევრი ს. მაჭავარიანი, გვარდიის, პოლიტიკურ პარტიების, მუშაობა, დაწესებულებათა და სხვ წარმომადგენელი. ბოლოს მიტინგის სახელით ეგზავნებათ დეპეშები: დამფუძნებელ კრებას, მთავრობის თავმჯდომარეს ნოე ჟორდანიას.

მიტინგის გათავების შემდეგ ჯარმა, გვარდიამ და ხალხმა გაიარა ბაზარი და დაბრუნდნენ ნადიკვრისკენ, აქ გაიმართა ჯერ ცეკვა და მერე კახური ჭიდაობა.

აქედან ზეიმი გადავიდა საზოგადო საკრებულოში, სადაც მოწყობილი იყო ამ ღღის აღსანიშნავად ერობის და ქალაქის მიერ დიდი ბანკეტი. გაიშალა კახური სუფრა, რომელსაც თამადობდა ქალაქის თავი ალ. ლანდია, დაიწყო მხიარულობა, წარმოითქვა მრავალი სიტყვა, სიტყვას სიმღერა სცვლიდა, სიმღერას მუსიკა და საერთო მხიარულობა სალამომდე არ შეწყვეტილა.

ამავე დროს ქალაქში, როგორც კოოპერატივების მოღვაწეთ, ისე სხვა დარგში მომუშავეთ ცალ ცალკე გამართეს ნადიმი და ყველა დეპუტაციების საშუალებით ულოცავდა ბანკეტს ამ ქართველ ერის ისტორიაშია დიდ მნიშვნელოვან ღღეს.

რკინის გზაზე

საქართვ. გზათა უფროსმა ინჟ. კანდელაკმა დეპეშით აცნობა სადგურების უფროსებს, რომ არ იქნეს მიღებული სომხეთში გასაგზავნათ ბარგი არც საბარგო კვიტანციით, არც ზედნადებით („ნაკლდნაია“) განსაკუთრებულ განკარგულებამდე.

ტფილისიდან ბაოუმში მიმავალი სასწრაფო მატარებელი № 6 სადგ. გერანთან ლიანდაგიდან გადავარდა, რის გამო ბაკოდან მომავალი სასწრაფო მატ. № 5 გაჩერეს სადგ. ევლახში გზის შეკეთებამდე, ტფილისში დაიგვიანა 9 საათით, სამგზავრო მატ. № 7 13 საათით, მატარებლები № 6 და 8 ტფილისიდან არ წასულა.

—

19 იანვარს ბაკოდან საზღვარ-გერეთ გაემგზავრა 48 სტუდენტი მუსულმანი სწავლის გასაგრძელებლათ უმეტეს ნაწილათ ტექნიკურ ფაკულტეტებზე.

—

19 იანვარს ბაკოდან ტფილისში ჩამოვიდა ადერბეჯანის გარეშე საქმეთა მინისტრი ხან ხოელი.

—

ექსპლოატაციის უფროსმა და სომხეთის გზების უფროსის შეთანხმებით, 500 ვაგონი ფქვილი, რომელიც სომხეთს ვერ მიჰქონდა ტფილისიდან და სანაინიდან გადასატან საშუალების უქონლობის გამო, გადატანილი იქნება საქართველოს ორთქლმავლებით 30 ათასი ფუთი დღეში სად. გუმბრამდე, სადაც ვაგონები დაიცლება და მეორე დღეს ცალიერი ტფილისში დაბრუნდება.

—

სად. სადახლოდან ბაკოში გაიგზავნა ოცი ვაგონი შეშა სასურსათო განყოფილების სახელზე.

ᲡᲐᲓᲐᲠᲑᲚᲝᲑᲘᲡ ᲛᲝᲜᲐᲪᲔᲜᲢᲘ

ტფილისის სამიტროპოლიტო სასამართლოში იოსებ ივანეს ძე ლობაჩოვმა შემოიტანა განცხადება, რომ მისი ანასტასია ნიკიტის ასული ლობაჩოვისა, რომელზედაც ჯვარი დაიწერა 1908 წ. უკვალოდ დაიკარგა 1908 წ. რის გამო აღნიშნული ქმარი მისი იოსებ ივანეს ძე ლობაჩოვი თხოულობს მისგან განქორწინებას. ყველა, ვინც კი იცის დაკარგულ ანასტასია ნიკიტის ასულის ლობაჩოვის მისამართი, ვალდებულია „საქართველოს რესპუბლიკა“-ში არსებულ კანონთა ძალით, სამიტროპოლიტო სასამართლოს განუცხადოს ზემო ხსენებულ პირის შესახებ, საჭირო ცნობები დღიდან ამ განცხადების დებეჭვდისა 2 თვის განმავლობაში. 65 3—2

მარიამ იოსების ასული მაისურაძე აცხადებს, რომ მან დაკარგა ტფილ. მე-14 უბნის მომრიგებელ-მოსამართლისგან 1919 წ. დეკემბრის 20 აღებული აპეკუნობის მოწმობა № 980, რომელიც გაუქმებულათ ჩაითვალოს. 87 3—2

ტფილისის ოლქის ფოსტა-ტელეგრაფის სამართველო აცხადებს, რომ ქალ. ტფილისში 22 ამა იანვარს 12 საათზე დანიშნულია საჯარო ვაჭრობა ქალ. ტფილისში ფოსტის ზიდვის გასაცემად ფოსტის კანტორიდან სადგურამდე ოთხჯერ ფოსტის მისატანმოსატანად და ყველა წერილების ჩასაშვებ ყუთების გასაწმენდად ერთჯერ, ან ორჯელ ღღეში შეჯიბრება მოხდება ცენტრალურ ფოსტის კანტორის შესობაში (პლეხანოვის პრ. № 44), სადაც უნდა გამოცხადდენ იჯარის აღების მსურველნი. წინასწარი ცნობების მიღება შეიძლება დასახელებულ კანტორაში და აგრეთვე ფოსტა ტელეგრაფის სამართველოში (საფოსტო განყ ფილება). 89 1—1

დაკარგული სალექციო წიგნაკი, მიღებული ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან სამეურნეო დარგის სტუდენტის გიორგი პეტრეს ძე ცაგარელის სახელზე გაუქმებულათ ითვლება. 3—2 81

სოფიო მოსეს ასული მაერი აცხადებს რომ მისი ქმარი იაკოფ ემანუილის ძე მაერი არ ჩანს 1914 წლიდან. სთხოვს ყველას, ვინც იცის სად ცხოვრობს იაკოფ მაერი, შეატყობინოს მას შემდეგი მისამართით: მე-5 ავლაბრის ფერმა № 15. სოფიო მაერს.

სიმონ ასლანის ძე გოდაბრელიძე აცხადებს რომ მან დაკარგა ქუთაისის მაზრის სამხედრო აღრიცხვის უფროსისგან 1918 წ. მიცემული სათადარიგო მოწმობა (ბილეთი) № 10336, რომელიც გაუქმებულათ ჩაითვალოს. 67 3—1

სოლომონ თედორეს ძე ღლონტი აცხადებს, რომ მან დაკარგა ს. ნუნისში (შორაპნის მაზრა) ბეუთ უბნის კომისარიატიდან აღებული პასპორტი № 669, რომელიც გაუქმებულათ ჩაითვალოს. 66 3—1

ალექსანდრე ნესტორის ძე გოგუა აცხადებს, რომ მან დაკარგა სამტრედიის რკინის გზის ორკლასიანი საწავლებლის მიერ მიცემული ატესტატი № 555, რომელიც გაუქმებულათ ჩაითვალოს. 83 2—2

ვასილი ბასას ძე ლაბარტყვა აცხადებს, რომ მან ნატახტრე და ნიგოითის შუა დაკარგა სამგზავრო მოწმობა, № 2203 აღებული ნაესაკოვის სათემო ერობის გამგეობიდან (ენაკის მაზრა) 1919 წ. 15 დეკემბერს. მოწმობა გაუქმებულათ ჩაითვალოს. 68 3—1

სახალხო გვარდიის მთავარ შტაბის
ავტო-ტექნიკურ განყოფილების მიერ

1920 წ. 1 თებერვალს დღის 11 საათზე

დანიშნულია საჯარო ვაჭრობა

შემდეგი ავტომობილების გასაყიდათ: 1) ლაურინ კლემენტ 8 ძალ., შეფასებულია—10 000 მან, 2) ოპელ 6 ძალ., შეფასებულია—20 000 მ., 3) სტეიერ 6 ძალ., შეფასებულია 30 000 მან., 4) ბენც 8 ძალ., შეფასებულია 12.000 მან., 5) ბენც 20 ძალ., შეფასებულია 50 000 მ., 6) ნ. ა. გ. 18 ძ., შეფასებულია 20 000 მ., 7) ნ. ა. გ. 6 ძ., შეფასებულია 12 000 მ., 8) ფორდ 22 ძალ., შეფასებულია 5.000 მან., 9) რუსულ ბალტიური 16 ძ., შეფასებულია 20 ათას მან. და 10) ბენც 16 ძალ., შეფასებულია 30.000 მან. მისამართი: ელისაბედის ქუჩა, № 119. 8 6—1

მიწათ-მოქმედების სამინისტროს

საჯარო განყოფილება ამით აცხადებს, რომ სამშაბათს 27 იანვარს 1920 წელს შუადღეს 12 საათზე აღნიშნულ განყოფილების ბინაზე დანიშნულია საჯარო ვაჭრობა, დაბეჭდილის ბარათების დაშვებით, ბორჩალოს მაზრაში სათესავთა შემდეგი მდინარე წყლების გასაცემად: 1) მდინარე ხრამზე ექვსი ნაკვეთი, აღნიშნულები საჯარო დავთრის წიგნში № 524—20000 მან., № 490—10000 მან. № 503—6000 მ., № 504—6000 მ., № 505—15000 მ, № 506—8000 მ. 2) მდინარე დებედა ჩაიზე № 518—4000 მ., № 507—13000 მ. და 3) მდინარე მაშოვერზე № 525—10000 მან. და № 508—4000 მან. პირადი ვაჭრობის მსურველთ უნდა შემოიტანონ განცხადება ორ მანეთიანი საღერბო მარკით. დაბეჭდილი ბარათებით ამავე საღერბო გადასახადით წარმოდგენილი უნდა იქნეს არა უგვიანეს 27 იანვრის შუადღის 12 საათისა. დაწვრილებით პირობების განხილვა ხსენებულ სათესავთა ადგილების გაცემის შესახებ შეიძლება ყოველ ღღე 12—3 საათამდე საჯარო განყოფილების ბინაზე, ევანგელოვის ქუჩა № 2, ბორჩალოს სამაზრო ერობაში და ბორჩალოს მაზრის პირველ რაიონის სახელმწიფო საადგილ-მამულო ფონდის გამგესთან ქ. შულავერში. 88 1—1

სახალხო განათლების სამინისტროს ნებართვით დაარსდა

პირველი ქართული გუნჯპალტერიის კურსები

ორივე სქესისთვის წლოვანობის განურჩევლად ალ. გ. საათაშვილისა

(წელიწადი მესამე)

პირობების გაგება შეიძლება დილის 10—12 საათ. ნაშუადღევის 5—7 საათამდე. მისამართი: ტფილისი, დუშეთის ქუჩა, სახლი № 9 (ჭყონდიდის ქუჩის ახლოს) ტრ. ვაგონ. № 5 და 9. 94 1—1

ᲡᲢᲐᲛᲑᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲘᲡᲐ.

რედაქტორის მოვალ. ალმ. გრიგოლ მაჭავარიანი